

შპს „მეიდან ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	8
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	9
9. ძირითადი საშუალებები	10
11. ინვესტიციები	12
14. გადასახადები	12
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
16. ფული და ფულის ექვივალენტები	12
17. მიღებული სესხები	13
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13

შპს “მეიდან ჯგუფი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	2,261,889	5,014,565
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(465,505)	(657,127)
საერთო მოგება		1,796,384	4,357,438
სხვა საოპერაციო შემოსავალი		8,581	114,156
კომერციული ხარჯები		(869)	(2,882)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,175,860)	(1,555,348)
საოპერაციო მოგება		628,236	2,913,364
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		740	1,100
ფინანსური შემოსავალი		46,758	233,068
ფინანსური ხარჯი		(229,698)	(309,961)
საკურსო მოგება/(ზარალი)	8	(958,669)	2,016,718
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(512,633)	4,854,289
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(512,633)	4,854,289

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს:

ქეთევან ხუროძე
დირექტორი

შპს "მეიდან ჯგუფი"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	2,261,889	5,014,565
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(465,505)	(657,127)
საერთო მოგება		1,796,384	4,357,438
სხვა საოპერაციო შემოსავალი		8,581	114,156
კომერციული ხარჯები		(869)	(2,882)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,175,860)	(1,555,348)
საოპერაციო მოგება		628,236	2,913,364
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		740	1,100
ფინანსური შემოსავალი		46,758	233,068
ფინანსური ხარჯი		(229,698)	(309,961)
საკუროსო მოგება/(ზარალი)	8	(958,669)	2,016,718
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(512,633)	4,854,289
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(512,633)	4,854,289

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს:


 ქეთევან ხურობე
 დირექტორი

შპს “მეიდან ჯგუფი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2,003,747	2,567,472
საინვესტიციო ქონება	10	37,727,223	37,467,822
ინვესტიციები	11	16,902,120	16,909,403
მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან	12	649,713	623,061
გრძელვადიანი მოთხოვნები	13	18,029,473	18,029,473
არამატერიალური აქტივები		35,985	38,086
სულ გრძელვადიანი აქტივები		75,348,261	75,635,317
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		33,896	27,546
საგადასახადო აქტივი	14	262,231	154,499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	692,446	857,931
მისაღები პროცენტები		218,943	184,205
ფული და ფულის ექვივალენტები	16	821,719	197,608
სულ მიმდინარე აქტივები		2,029,235	1,421,789
სულ აქტივები		77,377,496	77,057,106
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,337,652	10,337,652
გაუნაწილებელი მოგება		30,237,021	31,061,654
გადაფასების რეზერვი		26,207,524	26,207,524
სულ კაპიტალი		66,782,197	67,606,830
გრძელვადიანი სესხები	17	1,478,115	1,478,115
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,478,115	1,478,115
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	8,665,521	7,742,822
მოკლევადიანი სესხი	17	451,663	229,339
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,117,184	7,972,161
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		77,377,496	77,057,106

შპს “მეიდან ჯგუფი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	10,337,652	26,207,524	28,247,521	64,792,697
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	-	4,854,289	4,854,289
დივიდენდის გამოცხადება	-	-	(2,040,156)	(2,040,156)
31 დეკემბერი 2019	10,337,652	26,207,524	31,061,654	67,606,830
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	-	(512,633)	(512,633)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	(312,000)	(312,000)
31 დეკემბერი 2020	10,337,652	26,207,524	30,237,021	66,782,197

შპს “მეიდან ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

მეიდან ჯგუფი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2007 წლის 1 თებერვალს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204523239.

ძირითადი საქმიანობა. შპს მეიდან ჯგუფი არის უძრავი ქონების მართვისა და განვითარების კომპანია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართების იჯარით გაცემა. კომპანიის მეორე ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა უძრავი ქონების მართვის სფეროში. საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 62 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ., N44.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

- შპს მეიდანზე – 75%
- შპს მეიდანია – 25%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50-100
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25-50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	5
მანქანა-დანადგარები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	2

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

შპს “მეიდან ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2020	2019
საიჯარო შემოსავალი	2,035,369	4,384,694
შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	193,649	545,965
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	10,621	65,520
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	22,250	18,386
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	2,261,889	5,014,565

შპს “მეიდან ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	(389,527)	(376,753)
საიჯარო ქირა	(40,070)	(163,296)
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(35,908)	(116,579)
სხვა ხარჯები	-	(499)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(465,505)	(657,127)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(986,191)	(1,043,038)
საკონსულტაციო ხარჯები	(24,474)	(71,281)
საწვავის ხარჯი	(21,266)	(79,348)
საპენსიო ხარჯი	(16,846)	(14,877)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(12,060)	(35,667)
რემონტის ხარჯი	(11,781)	(20,699)
დაზღვევის ხარჯები	(11,009)	(16,160)
კომუნიკაციის ხარჯები	(3,132)	(7,342)
საგადასახადო ხარჯი	(1,141)	(138,774)
ბანკის საკომისიო	(780)	(873)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(87,180)	(127,289)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(1,175,860)	(1,555,348)

8. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2020	2019
გრძელვადიანი სესხები	66,651	310,306
მისაღები პროცენტები	28,267	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	178,669
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(1,047,733)	1,527,994
ფული და ფულის ექვივალენტები	(5,854)	(251)
სულ მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(958,669)	2,016,718

შპს “მეიდან ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	54,462	477,885	294,756	2,361,583	161,416	25,194	3,375,296
შემოსვლა წლის განმავლობაში	433,722	-	18,826	68,344	115,773	250	636,915
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	488,184	477,885	313,582	2,429,927	277,189	25,444	4,012,211
შემოსვლა წლის განმავლობაში	33,783	-	43,084	5,106	-	1,127	83,100
გასვლა	(506,233)	-	-	-	(26,247)	-	(532,480)
31 დეკემბერი 2020	15,734	477,885	356,666	2,435,033	250,942	26,571	3,562,831
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2018	-	(427,180)	(190,530)	(549,326)	(116,317)	(24,545)	(1,307,898)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(3,402)	(43,537)	(23,770)	(65,602)	(530)	(136,841)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(430,582)	(234,067)	(573,096)	(181,919)	(25,075)	(1,444,739)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(1,168)	(40,869)	(66,506)	(31,539)	(510)	(140,592)
გასვლა	-	-	-	-	26,247	-	26,247
31 დეკემბერი 2020	-	(431,750)	(274,936)	(639,602)	(187,211)	(25,585)	(1,559,084)
ნარჩენი ღირებულება							
31 დეკემბერი 2019	488,184	47,303	79,515	1,856,831	95,270	369	2,567,472
31 დეკემბერი 2020	15,734	46,135	81,730	1,795,431	63,731	986	2,003,747

შპს “მეიდან ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი 2018	27,941,548	10,733,016	38,674,564
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	27,941,548	10,733,016	38,674,564
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	506,233	506,233
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	27,941,548	11,239,249	39,180,797
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2018	-	(969,164)	(969,164)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(237,578)	(237,578)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(1,206,742)	(1,206,742)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(246,832)	(246,832)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(1,453,574)	(1,453,574)
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	27,941,548	9,526,274	37,467,822
31 დეკემბერი 2020	27,941,548	9,785,675	37,727,223

შპს „მეიდან ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“	16,607,123	16,607,123
შპს „მეიდან ტური“	100	100
შპს „იზი ვაინ თბილისი“	284,897	292,180
ააიპ „ქართული ღვინის მუზეუმი“	10,000	10,000
სულ ინვესტიციები	16,902,120	16,909,403

12. მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან

მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან წარმოადგენს დაკავშირებულ საწარმოებზე გაცემულ სესხებს. სესხის საპროცენტო განაკვეთია 7 %.

13. გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი მოთხოვნები წარმოადგენს მოთხოვნებს კომპანიის მეკავშირე საწარმოების წილის რეალიზაციიდან.

14. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	498,391	684,002
მოკლევადიანი ავანსები	143,141	110,434
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	50,914	63,495
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	692,446	857,931

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში	658,677	74,463
ფული სალაროში	163,042	123,145
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	821,719	197,608

შპს “მეიდან ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი სესხები	15%	ლარი	1,478,115	1,478,115
გადასახდელი პროცენტები	15%	ლარი	451,663	229,339
სულ მიღებული სესხები			1,929,778	1,707,454

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	8,475,276	7,516,533
მიღებული ავანსები	188,213	215,920
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2,032	10,369
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,665,521	7,742,822